

31 მარტის რეფერენდუმი საქართველოში და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

საკვლევი თემა ქართული სინამდვილისთვის მეტად მნიშვნელოვან - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა/ანალიზს მოიცავს, რომელიც დროითი მონაცემიდან, არსებული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, საყოველთაო ინტერესის ხასიათის მატარებელიცაა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად (1918-1921) მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი გამოცდილებაა და სიამაყის საგანია. 26 მაისი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე კი, ისტორიულ დღესასწაულად იქცა (ჯანელიძე, 2018). 1991 წლის 31 მარტს, 34 წლის წინ წინათ, როდესაც ქვეყანა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მსურველთა გამოვლენის მიზნით, სამართლებრივი ნორმების დაცვით, რეფერენდუმი გაიმართა, რომლის შედეგების საფუძველზე უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო (მაცაბერიძე, 2019, 181). დრომ უფრო მეტად განამტკიცა ამ დღის მნიშვნელობა ათწლეულების შემდეგ ჩატარებული რეფერენდუმის დროს, რადგან სარეფერენდუმო კითხვა სწორედ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აქტს ეფუძნებოდა.

რეფერენდუმის ჩატარების საშუალება შექმნა ეროვნული ძალების დამაჯერებელმა გამარჯვებამ 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში (ნათმილაძე, დაუშვილი, 2005).

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს არსებული მოცემულობა, რომელიც ადასტურებს, რომ ქართული სინამდვილისთვის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესწავლა აქტუალობას არ კარგავს. ნაშრომში შესწავლილი, წარმოდგენილი მასალები, ნათლად აღწერს არსებულ ვითარებას, განხილული დოკუმენტები (რომელთაგან ზოგიერთი პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში), ნათელს ჰფენს 1918-სა და 1991 წელის ეპოქალურ მოვლენებს. სიტუაციური ანალიზი, ვფიქრობთ, საინტერესო სამეცნიეროს მიგნებებთან ერთად, ნაშრომს პრაქტიკულ ღირებულებასაც სძენს, რაც წარმოადგენს სიახლეს და ზრდის ნაშრომის მიმართ ინტერესს.

1991 წლის 31 მარტი, 26 მაისის კონტექსტში, საქართველოს უახლოესი ისტორიის მნიშვნელოვანი დღეა. სწორედ ამ დღეს ჩატარებულ რეფერენდუმის კითხვას - „ეთანხმებით თუ არა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეთა 99,08 %-მა დადებითად უპასუხა, მათ შორის ქვეყნის არაქართველმა მოსახლეობამაც. ეს ადასტურებს წინასარეფერენდუმო პერიოდში მოსახლეობის განწყობას, შემდეგში უკვე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოწოდებისადმი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ყველა ჩვენგანის ხმა 31 მარტს შეიძლება ის ერთადერთი იყოს, რომელიც გადაწყვეტს ჩვენი სახელმწიფოს - საქართველოს - ბედსო. რეფერენდუმის შედეგის საფუძველზე კი 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს აღნიშნული საკვლევი პრობლემის კომპლექსურად შესწავლისათვის მოძიებული, ნაშრომში ჩართული მასალები, რომელთაგან ზოგიერთი პირველად არის გამოყენებული, სიახლეა და განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს ნაშრომს. შესაბამისად, ქვეყნის უახლესი ისტორიის საინტერესო დეტალებზე აქცენტები აქტუალურობას არ კარგავს, როგორც ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის, ისე, ამ მეტად საინტე-

რესო პერიოდის, საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებულ პირთათვის.

ნაშრომის პრობლემა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთელი რიგი სამეცნიერო ლიტერატურის, ხელისუფლების მიერ მიღებული დოკუმენტების, პრესის მასალების, სხვა ქვეყნის პოლიტიკური პირების დამოკიდებულებების, შესწავლის საფუძველზე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესის ახლებურ გააზრებას და შემდეგ კითხვებზე პასუხს მოიცავს: 1. 1918 წლის 26 მაისი კონტექსტი საქართველოში; 2. რეფერენდუმამდე არსებული პოლიტიკური პროცესები; 3. რეფერენდუმის ჩატარების მიზანი და პროცესი, 4. საქართველოს სახელმწიფოებრივის დამოუკიდებლობის აღდგენა; 5. სხვა ერთა და ქვეყნების დამოკიდებულებების წარმოჩენა, რომელიც ქართული უახლესი პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია (შველიძე, 2021).

კვლევის მეთოდებიდან ნაშრომში, სამეცნიერო პრობლემის შესასწავლად, ანალიზისათვის, გამოყენებულია - ისტორიზმის (26 მაისის კონტექსტი, პოლიტიკური ვითარების მახასიათებლების მასალების გათვალისწინება); შედარებითი (დამოუკიდებლობის, 26 მაისს და 9 აპრილს, გამოცხადების თანმხლები სირთულები); სიტუაციური ანალიზის (Case-study) (ნაშრომში შესასწავლი პოლიტიკური პროცესების გააზრება თანმხლები ვითარების ფონზე); ასევე აღწერითი მეთოდები (მთელი რიგი მოგროვილი მასალების, პირველადი და მეორადი წყაროები).

ნაშრომის დასკვნაში წარმოდგენილია და ნათლად ჩანს, რომ საქართველოში 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა ქვეყანა გაანთავისუფლა 70-წლიანი საბჭოთა რეჟიმისგან. ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმი, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი გარანტიაა. კონსტიტუციით დაცული საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი ამ რეფერენდუმის შედეგს ეყრდნობა. საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ თავისუფალი არჩევანის პირობებში

საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლას, რასაც ძალიან დიდი, სერიოზული რეზონანსი მოჰყვა.

სწორედ ამიტომ, მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, რეფერენდუმის შესახებ საზოგადოებრივი აზრი, როგორც მაშინ დღესაც ისევე დადებითია, რადგან ეს ისტორიული პროცესი საფუძველია, როგორც საქართველოს კონსტიტუციაშია ნათქვამი, იმისა, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, დამოუკიდებლობა, რეფერენდუმი, 26 მაისი, ზვიად გამსახურდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაცაბერიძე, მ. 2019, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. ჯანელიძე, ო. 2018, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი.
3. შველიძე, დ. 2021, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992, გამოცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
4. ნათმელაძე, მ., დაუშვილი, ალ. 2005. საქართველოს უახლესი ისტორია(1921-2000წწ.), ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წლის 7 დეკემბერი.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 3 იანვარი.
7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 5 აპრილი.
8. გაზეთი „ერთობა“, 1919, 26 მაისი.

Manana Darchashvili

The March 31 Referendum in Georgia and the Restoration of State Independence

Abstract

The research topic includes such vital topics for Georgian reality as the restoration of state independence and related issues that, due to their timeframe and current international situation, are of general interest. Despite its short existence (1918-1921), the Democratic Republic of Georgia left a significant mark on the history of Georgia. Its legacy is an invaluable experience and a source of pride for the current Georgian state. May 26, Georgia's Independence Day, has become a historic holiday (Janelidze, 2018).

34 years ago, on March 31, 1991, when the country was actually in a state of war, a referendum was held following legal norms to identify those wishing to restore state independence, and based on its results, the Supreme Council adopted the Act of Independence of Georgia (Matsaberidze, 2019, 181). The more time passes, the more the significance of the day during the referendum held decades later becomes even more confirmed, since the referendum question was based on the Act of Independence proclaimed on 26 May 1918.

The opportunity to hold the referendum was created by the convincing victory of the national forces in the first multi-party elections to the Supreme Council on October 28, 1990 (Natmeladze, Daushvili, 2005).

The urgency of the work is determined by the current situation, which confirms that the study of any issue related to the proclamation of state independence for Georgian reality does not lose its relevance.

The presented and studied materials describe the current situation, and the documents discussed (some of which are entering the Georgian scientific space for the first time) shed light on the epochal events of 1918

and 1991. We believe that situational analysis, together with interesting scientific findings, also gives practical value to the work, representing novelty and increasing interest in the work.

In the context of May 26, March 31, 1991, is an important day in Georgia's recent history. The referendum question held on that day - "Do you agree with the restoration of Georgia's state independence based on the Act of Independence of May 26, 1918?" was answered positively by 99.08% of the referendum participants, including the country's non-Georgian population. This proves the mood of the population during the pre-referendum period, and later the appeal of the first President of Georgia, Zviad Gamsakhurdia, who stated that the vote of all of us on March 31 may be the only one that will decide the fate of our state, Georgia. Based on the results of the referendum, on April 9, 1991, the restoration of Georgia's state independence was declared.

The novelty of the work is the scientific basis included in the work. It is worth saying that some of the materials are used for the first time, and since they are new, they add special significance to the work. Therefore, the emphasis on interesting details of the country's recent history remains relevant, both for the former post-Soviet space and for those interested in the international politics of this very interesting time frame.

Based on the above, **the problem of the paper** includes a new understanding of the political process in the country based on the study of many scientific literature, documents received by the government, press materials, attitudes of political figures of other countries, and answers to the following questions: 1. May 26, 1918 Context in Georgia; 2. Political processes leading up to the referendum; 3. The purpose and process of holding a referendum; 4. Restoration of the independence of the Georgian state; 5. Representing the attitudes of other nations and countries which is an important part of recent Georgian political history (Shvelidze, 2021).

The research methods applied in the work to study and analyze the scientific problem, represent: historicism (considering the context of May 26, the peculiarities of the political situation); comparative (difficulties accompanying the declaration of independence on May 26 and April 9); situational analysis (Case-study) (understanding the political processes to be studied in the paper against the background of the accompanying situation); as well as descriptive methods (a whole range of collected materials, primary and secondary sources).

The conclusion of the paper presents and clearly shows that the referendum held in Georgia on March 31, 1991, liberated the country from the 70-year Soviet regime. In addition, the referendum held on the entire territory of Georgia is a legal guarantee of the country's independence and territorial integrity. The state sovereignty of Georgia, protected by the Constitution, is based on the results of this referendum. The referendum held in Georgia showed the whole world that, in the conditions of free choice, the population of Georgia supported the restoration of state independence and the withdrawal of Georgia from the Soviet Union, which caused a very large, serious resonance.

Hence, based on the achieved results, the public opinion about the referendum is as positive as it was more than 30 years ago, since this historical process represents the basis. As stated in the Constitution of Georgia, “Georgia is an independent, united and indivisible state, which was confirmed by the referendum held on March 31, 1991 throughout the country, including in the Abkhazian ASSR and the former South Ossetian Autonomous Region, and by the Act of Restoration of State Independence of Georgia of April 9, 1991.”

Keywords: Georgia, independence, referendum, May 26, Zviad Gamsakhurdia.